№ 2959
ოთხშაბათი,
30 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2959
ოთხშაბათი,
30 ნოემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა. ნ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა
არის

დიდ-ძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მიიღება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუდარებლად

„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—37)

მოწოდება

ყველა მანდილოსანთ ეროვნებისა და სოციალურ მდგომარეობის განურჩევლად.

ხშირ გაფიცვებისა და მისვლა-მოსვლის შეწყვეტის გამო, დაგვიანდა გამოწერილ სხვა და სხვა საქონლის მიღება. ამის მიზეზით ვაჭრობა შეფერხდა. ამიტომ

ა. ო. მელიქ-მუშკამბარიანცის

სამოდო და სამანუფაქტურო საქონლის მაღაზია (გოლოვინის პროსპ., № 16, სახლი სტეფანოვისა), რომელსაც აქვს 125.000 მანათის საქონელი, მიღებული გაფიცვებამდე რამდენისამე დღის წინად,

ნიშნავს

დიდს და იაფს გასყიდვას ამა წლის 25 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე მხოლოდ საფაბრიკო ფასებით.

გაისყიდება ბევრი სხვა და სხვა მატერია დედა-კაცისა და მამა-კაცის ტანისამოსისათვის: აბრეშუმის, შალის, მაუდის, ტილოს, ქაღალდის ნაქსოვისა. გარდა ამისა, საბნები პლიუშის, ბაიკის, ნაქსოვი და სხვა საქონელი.

ისყიდება შეუდარებლად
(10—3)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—33)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—32)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,

შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—28)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ექიმი
მ. პ. ბეჟირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—16)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—14)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—33)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კროვატი.

ტფილისი, 30 ნოემბერი.

შინაურ ომის გამო

ჩვენი გრძნობა უძლურია ანგარიში გაუწიოს იმ კაცთმოძულეობას, რომელმაც ლამის არის კრწანისის ომისა და ტფილისის აოხრების ისტორია გაიმეორეს ჩვენ თვალწინ, ასის წლის შემდეგ!.. მაგრამ თუ გრძნობა უარსა ჰყოფს ხელმძღვანელობაზე, ვცადოთ, იქნება გონებამ მაინც მოჰფინოს ცოტა რამ ნათელი ჩვენს თავზე მოვლინებულს უბედურებას.

ასის წლის წინად, როდესაც საქართველომ რუსეთის მეფეებს ჩააბარა ქართველ ხალხის პოლიტიკურ ცხოვრების ბედ-იღბალი, როდესაც საქართველომ თავის ნებით უარჰყო დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა, მაშინ ამ პოლიტიკურ თვითმკვლელობის ძირითადი მიზეზი ის დაუსრულებელი, უგონო და უაზრო ომიანობა იყო, რომელსაც ძალაუნებურად ეწეოდა ქართველი ხალხი სხვა და სხვა მეზობლად მცხოვრებ ერების კაცთმოძულეობისა და მოურიგებლობისა გამო. რუსეთმა იკისრა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანობის ჩამოგდება და კულტურულ განვითარებისთვის მყუდროების დაცვა. დღესაც ვკითხულობთ გოლოვინის პროსპექტზე იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტს, რომ არა გამდიდრებისთვის, არა უიმისოდაც ვრცელ რუსეთის სახელმწიფოს საზღვრების გაფართოვებისთვის, არამედ თვით ქართველ ხალხის კეთილდღეობისთვის სთანხმდება რუსეთი საქართველო შეიერთოსო.

ამისდა მიუხედავად, მთელი სამოცი წელიწადი განუწყვეტლივ და კიდევ ოცი წელიწადი ამის შემდეგ დრო გამოშვებით—რუსეთი შეუპოვრად და ერთგულად მიიწევდა წინ, საზღვრების გაფართოვებისკენ, და ამ ჟამად მთელი კავკასია იმპერიის განუყოფელ ნაწილად აქცია. კულტურულ განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე მდგომნი, სხვა და სხვა ზნეობრივ და იურიდიულ ნორმების მატარებელი ერები, ეკონომიურ განვითარების მხრივ თვალსაჩინოდ ერთი ერთმანეთისაგან განსხვავებული ხალხები რუსეთის ცენტრალისტურმა გამარუსებელმა პოლიტიკამ ერთსა და იმავე რუსეთის კანონს დაუმორჩილა, ყველას ერთსა და იმავე საზოგადოებრივ წესზე ცხოვრება მოსთხოვა და ამ გვარად „ამყარებდა კავკასიაში მოქალაქობრივობას".

ნაძალადევმა გაერთიანებამ შეჰქმნა ერთის მხრივ გარეგანი სიმშვიდე და მეორის მხრივ გულის სიღრმეში დაფარული მძულვარება ერთი ერისა მეორისადმი. როგორც ყველგან და ყოველთვის, სადაც კი კულტურულად მაღალ საფეხურზე მდგომი ერი ჩაჰრევია დაბალ საფეხურზე მყოფ ერის ცხოვრებაში, ისე ჩვენშიაც სომხის ბურჟუაზიამ წამოისხა პირბადე ბურჟუაზიულ კულტურის მთესველობისა, ევროპიულ კულტურტრეგერობისა, რომლის ქვეშაც მშრომელ ხალხის საშინელი ექსპლოატაცია უნდა ვიგულისხმოთ, და პირიქით კულტურას მოკლებულმა თათრებმა წამოაყენეს წინ თავიანთი გულახდილობა და გულუბრყვილო პირდაპირობა. ცალ-ცალკე ორივე მხარე მართალია, ორივე სწორედ ისე ჰმოქმედობს, როგორც მათ საკუთარი ზნეობრივი წარმოდგენები უბრძანებენ, მაგრამ სწორედ ამიტომ მოპირდაპირე ერები, რაც ხანი გადიოდა, მით უფრო ჰშორდებოდნენ ერთმანეთს, მით უფრო მტრულის თვალით უცქეროდნენ ერთი მეორეს და ეს მტრობა, ეს განხეთქილება თან[illegible]ქცა იმ კაცთმოძულეობად, რომელმაც შეჰქმნა ეხლანდელი ომიანობა სომხებისა და თათრებისა, ომიანობა, რომლის სისასტიკეს და სიმკაცრეს ვერავითარი ომი სახელმწიფოებისა ვერ შეედრება, რადგან ამ ომიანობას მთელი ერები ერთგულად, თავგანწირულად ეპყრობიან და ამიტომ ამან არც დანდობა იცის, არც დასასრული.

ესაა, ჩვენის აზრით, სომეხ-თათართა ომიანობის ნიადაგი: იგი გამოიწვია ცენტრალიზმმა ერთის მხრივ და კულტურის განსხვავებამ მეორეს მხრივ. რუსეთის მმართველობას ამ ომიანობის შექმნაში მეტად დიდი ბრალი ედება—ეს ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, მაგრამ ეჭვს გარეშეა აგრეთვე ის, რომ ეხლა რუსის მთავრობა უძლურია თავის ძალ-ღონით მშვიდობიანობა დაამყაროს, თუ კი ერთ ერთი მეომარი მხარე იარაღს არ დაჰყრის და მოწინააღმდეგეს არ დაუთმობს. ჩვენ გვესმის, რომ ამ გვარად ჩამოგდებული მშვიდობიანობა დროებითი იქნება, მაგრამ გვესმის ისიც, რომ მმართველობის სისტემის შეცვლას შეუძლიან მკვიდრი მყუდროება დაამყაროს შემდეგში.

ჩვენ გვგონია, რომ იმ მეომარ მხარეს, რომელიც დღე-მუდამ თავის კულტურტრეგერობას იკვეხდა და პროგრესის ავანგარდს ირქმევდა, სწორედ იმ მხარეს უნდა მოეთხოვოს მეტი გონიერება, მეტი შორს მჭვრეტელობა და მოთმინება. რაც უნდა სთქვან, რაც უნდა იყვირონ სომხის პატრიოტებმა, საერთოდ რუსეთის ცენტრალისტური მმართველობა სომხებისთვის უფრო ხელსაყრელი იყო და პირიქით თათრებისთვის-კი უფრო საზარალო. ამიტომ სომხებს გაცილებით მეტად მოეთხოვებათ მშვიდობიანობისთვის იმეცადინონ, ვიდრე თათრებს, და თუ მშვიდობიანობა არ დამყარდა, ბრალი იმდენად თათრებს არ უნდა დაედოთ, რამდენადაც სომხებს.

ჩვენ, ქართველებს, სომეხ-თათართა ომიანობაში არავითარი წილი არ გვიდევს და, რა თქმა უნდა, არც გვსურს იმისი მონაწილე შევიქნეთ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან გულხელდაკრეფილი ვუცქიროთ ამ ამბავს, რომ მოწინააღმდეგენი ომიანობის ასპარეზად საქართველოს მიწა-წყალს ჰხდიან. ქართველებს იოტის ტოლი ბრალი არ ედებათ სომეხ-თათართ შორის მტრობის ჩამოგდებისა და, თუ რუსის ეხლანდელს მთავრობას იმოდენა ღონე არ შესწევს, რომ მისგან დათესილი ომიანობა ეხლავე მოსპოს, ის მაინც უნდა მოახერხოს, რომ ნეიტრალურ ერის ტერრიტორიაზე არ გადმოიტანონ მოპირდაპირეებმა ბრძოლის თეატრი.

რუსის მთავრობა მოვალეა ქართველ ერის წინაშე, მოვალეა იურიდიულადაც და ზნეობრივადაც, აგვაცილოს თავიდან ქართველ ხალხის ტერრიტორიაზე სხვა და სხვა ერების ბრძოლა, და თუ თითონ იგი ისე დაუძლურდა, რომ ამ მოვალეობის ასრულება აღარ შეუძლიან, მაშინ პირდაპირ უნდა აღიაროს ეს და გაუხსნას ქართველ ხალხს გზა თითონ მოუაროს თავის საქმეებს.

რევოლიუცია რუსეთში

—

როგორც დეპეშით უკვე გვატყობინებდნენ, კიევში დიდი შეტაკება მოხდა ჯარს შორის. 17 ნოემბერს კიევში შეადგინეს ახალი როტა სალდათებისა საყარაულოზე სადგომად, მაგრამ ამ როტამ ამაზე უარი განაცხადა, დაიტაცა იარაღი და ისე გამოკიდა ქუჩაში. ეს როტა სულ საპიორებისაგან ყოფილა შემდგარი და როდესაც ქუჩაში გამოვიდა, სხვა საპიორებიც მასთან შეერთებულან. მეამბოხენი ქალაქში შესულან და გადაუწყვეტიათ ჯარის სხვა ნაწილების შემოვლა და მათი შემოერთება. ამათ წინააღმდეგ ყაზახთა რაზმი გაჰგზავნეს, მაგრამ ჯარმა ამათ ტყვია დაუშინა: ამის შემდეგ ჯარი თავის გზას გასდგომია წითელის დროშის ფრიალით. ამათ გაჰყოლია ქვეითი ჯარი მათ დასამშვიდებლად გამოგზავნილი და შემდეგ ყაზახთა რაზმი. ჯარი რკინის გზის სადგურისაკენ წასულა. იქ დეპოს მუშებს თავი დაუნებებიათ მუშაობისათვის და ჯარს შეერთებიან. აქედან ჯარი ებრაელთა ბაზარში მისულა და იქაც ერთის ქარხნის მუშები შემოუერთებიათ. როდესაც აქედან წასვლას აპირებდნენ, აქვე ახლო ყაზარმებიდან თოფები უსროლიათ. აქ თურმე ჯარი ჩასაფრებულიყო მეამბოხეთა გასაფანტავად. უიარაღო ხალხი მაშინვე შუა ქუჩაზე გაქცეულა და ამის შემდეგ ტყვია პირდაპირ იმათ ჯგუფებს მოჰხვედრიათ. ამასობაში მეამბოხე პოლკიც შეირყა, საპიორები ჯგუფ-ჯგუფად დაიშალნენ და აუტეხეს სროლა ჩასაფრებულ სალდათებს. სროლა გაგრძელდა ერთ საათს. რადგან თოფებს ყაზარმების ფანჯრებიდან ისროდნენ და მეამბოხენი იქ მყოფთ ვერას აკლებდნენ, ამიტომ დაიშალნენ. ბრძოლის ველზე 22 მოკლულის გვამი ნახეს და 40 დაჭრილი. დაჭრილნი და დახოცილნი საავადმყოფოში წაიღეს. ამის შემდეგ საპიორები მთელი დღე დადიოდნენ მუშებთან და სტუდენტებთან და მუსაიფობდნენ.

ამბობენ, პირდაპირი მიზეზი ამ ამბოხებისა გარდა იმისა, რომ საპიორებს არ მოუსურვებიათ სამარცხვინო როლის შესრულება (ე. ი. გაფიცულ ტელეგრაფისტების მაგივრად მუშაობა), არის გენერალ-გუბერნატორის სუხომლინოვის საქციელი, რომელსაც ძალის დატანება მოუსურვებია. ამას უთქვამს, მოინანიეთ დანაშაული, თორემ დაგსჯითო. ჯარს ამის შემდეგ უტაცნია ხელი იარაღისათვის და ქუჩაში გამოსულა.

სხვა გაზეთები გადმოგვცემენ: ქალაქის შუაგული და პოდოლი მთავრობის მომხრე ჯარის ხელშია. პეჩორსკის მოედანი და ციხე-კი აჯანყებულთა ხელში. ხალხს 1000 საპიორი და ჯარის ერთი ნაწილი შეერთებია. ქალაქში ბარიკადებია გამართული.

როგორც მოსკოვის გაზეთები გადმოგვცემენ, ამგვარივე ამბოხება კიევის გარდა სხვა ქალაქებშიც ყოფილა. მაგალითად ქ. ვორონეჟში.

სარატოვში გლეხთა დასამშვიდებლად გაგზავნილი გენ.-გუბერნატორი მინისტრად ნამყოფი სახაროვი მოუკლავს ერთ ქალს გუბერნატორის სახლში რევოლვერით.

ნოვოროსიისკიდან მოსული დეპეშა გვაუწყებს, რომ ქალაქი აჯანყებულ ჯარის ხელშია. სალდათებს ქალაქი ნაწილებად დაუყვიათ და ისე იცავენ წეს-რიგს. ჯარი უწოდებს მუშებს, აჯანყებას შემოუერთდითო.

ქ. ეკატერინოდარში აჯანყებულ ჯარს არსენალი ხელში ჩაუგდია, 16,000 თოფი გამოუტანია. ამ იარაღის ერთი ნაწილი ქალაქში ხალხისთვის დაურიგებიათ; მეორე კი გაუგზავნიათ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში პროლეტარიატის შესაიარაღებლად.

იქვე 22 ნოემბერს რუსეთის ს.-დ. პარტიის კომიტეტის კრებაზე მოსულა ოფიციალური წარმომადგენელი პარტიისა და განუცხადებია: „ამხანაგებო, 22 ნოემბერს მოსულნი სამხრეთიდან გვაცნობებენ, რომ ჯარი მზად არის აჯანყებისათვის. ელიან პეტერბურგიდან ნიშანს".

ჯარი აჯანყდა აგრეთვე რიგაში. აჯანყებულებს მეთაურობს ის ბატალიონი, რომელიც რამდენისამე თვის წინად უწყალოდ ხოცავდა და ჟლეტავდა „შინაურ მტრებს", ესე იგი ხალხს. ჯარმა თავის მოთხოვნილებანი წარუდგინა უფროსებს.

ცარსკოე სელოში აფიცრებს მიტინგი მოუხდენიათ და დაუდგენიათ, თუ აჯანყების ჩასაქრობათ გაჰგზავნეს, უარი უნდა ვთქვათ სროლაზეო.

დიდი არეულობაა მე-8, 14 და 18 ფლოტის ეკიპაჟებში. მატროსებისათვის თოფები ჩამოურთმევიათ. რეველიდან იტყობინებიან, რომ იქ მეზღვაურნი აჯანყებულან.

ვლადივასტოკში 10 გემის მატროსები აჯანყებულან.

თათარ-სომეხთა შეტაკება

—

სად. სადახლო. 26 ნოემბერს, დილის 8 საათზე, 120 შეიარაღებული თათარი დაეცა სახალხო მატარებელს (№ 76), გაძარცვა მგზავრები და ორი მგზავრიც დასჭრა. 25 ნოემბერს ღამე აგაბას და სალარს შუა გაძარცვეს და დასჭრეს ლიანდაგის დარაჯი ბაქრაძე, დასჭრეს მუშა ქსოვრელი, უფროს მუშას წაართვეს 30 მანათი. მუშები გაიქცნენ.

—

სად. ახტალა. სადგურის მოსამსახურეთა დეპეშა 26 ნოემბერს: უკიდურეს მდგომარეობაში ვართ. გარშემო სულ სომხის სოფლები გვახვევია. მათ დაეცნენ თათრები. საჭიროა ჯარი.

—

სად. სანაინი. მოსამსახურეთა დეპეშა 26 ნოემბერს: ყოველი წუთი საშინელებას გვიქადის. პირველი ჯგუფი თათრებისა უკვე გამოჩნდა. იწამეთ ღმერთი, დაგვიფარეთ.

—

სად. სოღანლული, 26 ნოემბერი. ეს მესამე დღეა სადგურზე ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-გლეჯაა. დახოცილების გვამები უპატრონოდ ჰყრია. სოღანლულის სადგური გაუქმდა, რადგან მოსამსახურენი გაიქცნენ.

—

დოლიარი, 26 ნოემბერი. 20 ნოემბერს ღამე 300 შეიარაღებული თათარი დაეცა საქონლის სადგურს. წაიღეს საქონელი, გაძარცვეს მგზავრები და მოსამსახურეები. სადგომები და სადგური არ გაუძარცვავთ, რადგან ყაჩაღი საუნ-ტოტ-ოღლი წინ აღუდგა თავის კაცებით და ნება არ მისცა, რომ სადგური აეკლოთ.

—

ძეგამი. 27 ნოემბერს თათართა და სომეხთა შორის დაიწყო ჟლეტა-ხოცვა. ძეგამის ქარხნიდან იუწყებიან: „ჯერ ცოცხლები ვართ. რაც გვებადა, წაგვართვეს. ბერძნები და თათრები, ოთხასი სული ოსმალეთის ქვეშევრდომი, ვთხოულობთ დახმარებას".

—

თაუზი, 27 ნოემბერი. დეპეშა, გამოგზავნილი ნამესტნიკის სახელზე: მცხოვრებნი აღელვებულნი და შეშინებულნი არიან. საჭიროა სამხედრო ძალა.

—

დოლიარი, 27 ნოემბერი. ნამესტნიკის სახელზე მოსული დეპეშა: ჩვენი ბედ-იღბალი კარგად მოეხსენება თქვენს ბრწყინვალებას. გევედრებით, მარტო სიცოცხლე შეარჩინეთ ჩვენს მოსამსახურეებს—ქედა-ბეგის ქარხნის რუს-გერმანელთ დირექცია.

—

ევლახი. 28 ნოემბერს სადგურზე სიმშვიდეა. სროლა ისმის.

—

განჯა. დღეს, 27 ნოემბერს თითქოს სიმშვიდეა. ტრამვაის ვაგონები დადიან.

—

ქარაბურუნი. 28 ნოემბერს მე-81 ვერსზედ ნახეს გაძარცული და მოკლული თათარი. ყურები და ცხვირი დაჭრილი ჰქონდა.

მოწოდება სომხებისა და თათრებისადმი

(ქუთაისის მასწავლებელთა კავშირისაგან).

„ძვირფასო ძმანო! აგერ უკვე წელიწადი შესრულდა, რაც თქვენს შორის, მცირედის დროებით შეწყვეტით, სასტიკი ძმისკვლის ომი გრძელდება. მთელი განათლებული კაცობრიობა [illegible] უმზერს ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტას. ყველა თქვენი მოკეთე გული შეძრწუნებულა; ყოველი თქვენი მოყვარული თავზარ დაცემულა, რადგანაც ხედავს [illegible] სისხლის [illegible] და ჩვენც, ქალაქ ქუთაისის მასწავლებელნი, თქვენი [illegible] თქვენ მიერ ერთმანეთის [illegible] შეწუხებულნი, გვედრებით: მოისპეთ, შე-

წყვიტეთ ეგ საშინელი, ეს უმიზნო სისხლის ღვრა!

მიმოიხედეთ, რა ხდება თქვენს გარშემო! მართალია, მთელს კავკასიაში ამ ჟამად თქვენ ხედავთ სისხლის ღვრის მაგალითებს; მთელს რუსეთში, ყველა მის განაპირა ადგილებში ქალაქები და სოფლები ხალხის სისხლით ირწყვება,—მაგრამ კარგად ჩაუკვირდით, რა მიზნითაა, რომ რუსეთის ხალხნი დღეს-დღეობით სისხლსა ღვრიან. იმ დროს, როდესაც რუსეთის საუკეთესო ძალნი ებრძვიან ხალხის წმინდა უფლებათა დამთრგუნველთ; იმ დროს, როდესაც რუსეთის ხალხნი თავის საუკეთესო შვილთა სისხლისა და სიცოცხლის ფასით სცდილობენ დაამსხვრიონ და თავიდან მოიცილონ ასწლოვანი მონობის ბორკილები და მოიპოვონ სასურველი თავისუფლება,—აი, ამ დროს თქვენ, ორი მოძმე ერი, ერთმანეთისადმი ყოვლად შეუწყნარებელ მტრობით დაბრმავებულნი, მთელს თქვენს ძალას, მთელს თქვენს ენერგიას ჰკარგავთ ერთმანეთთან ბრძოლაში და ამით ანელებთ რუსეთის ეხლანდელ განმანთავისუფლებელ მოძრაობის შეერთებულ ძალას.

გონს მოდით, ძმებო! იცოდეთ, რომ თქვენ ღალატობთ თქვენს ამხანაგებს, რომელნიც თავისუფლებისათვის ბრძოლაში იხოცებიან! გრცხვენოდეთ მთელის განათლებულ კაცობრიობის აზრისა თქვენს შესახებ! გეშინოდეთ ისტორიის მიუკერძებელ მსჯავრისა, რომელიც (ისტორია) სისხლის ასოებით აღნიშნავს თავის კაბადონებზე თქვენგან ჩადენილ სამარცხვინო სისხლის ღვრას! შეწყვიტეთ ძმის სისხლის ღვრა! შეუერთდით თავისუფლებისათვის შეჯგუფებულ მეომართა რაზმს და მით გამოიყიდეთ თქვენი დღევანდელი საშინელი დანაშაული!

თქვენ მიერ მეოცე საუკუნეში განზრახული ძმისაკლავი ომი კავკასიის ყოველ ერს საშინელ სასოწარკვეთილებაში აგდებს. ნუ თუ საზოგადო მწუხარებამ, ასი წლის მეტად შევიწროებულმა საზოგადო მდგომარეობამ ვერ შეაგნებინა მათ, რომ საჭიროა მათი შეერთება და ძმური კავშირის დაარსება საერთო მტრის წინაამდეგ საბრძოლველად? ნუთუ იმ ერთ, რომელთაც ათასი წლობით მეზობლურად, თითქმის ერთად, ერთს ტერიტორიაზე უცხოვრიათ და შემდეგშიაც ერთად უნდა იცხოვრონ, არ შეუძლიათ ერთმანერთს შეურაცხყოფა აპატიონ მშვიდობიან კულტურულ განვითარების სახელით, ურომლისოდაც წარმოუდგენელია, როგორც კერძოთ ყოველი მათგანის, ისე საერთო მათი კეთილდღეობა? აი, რა შავი აზრები უზხამავს გულს კავკასიის ყოველს ჭეშმარიტ შვილს, როდესაც ამ ძმისაკლავ ომსა ჰხედავს.

ძმებო! მოახლოვდა საათი ხალხის განთავისუფლებისა! ნუ დააბნელებთ მას ამ საძაგელის სურათით, ამ არა ადამიანურის სისხლის ღვრით!.. იბრძოლეთ, მაგრამ არა თავისივე ძმების ამოსაჟლეტად, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ მოიპოვოთ წმინდა თავისუფლება!.. ყოველი ერის ცხოვრების თავისუფლად მოწყობა და სხვა და სხვა ერების ძმური საურთიერთო კავშირი—აი, მისწრაფებანი ყველა ჭეშმარიტად განათლებულ ხალხისა, აი, იდეალი მთელის განათლებულ კაცობრიობისა“.

ჩვენი გაზეთი დღესაც ნახევარი გამოდის. მიზეზი ისევ გამოურკვეველი და შფოთიანი მდგომარეობაა, რომლის გამოც მუშაობა სტამბებსა და სხვა დაწესებულებებში ჯერ-ჯერობით ვერ ჩამდგარა ნორმალურ კალაპოტში.

ახალი ამბავი

◆ **საზიზღრობა.** გუშინ, 29 ნოემბერს, ჩვენი რედაქციის წინ, იარმუკის ბოლოში, მთელი ჩვენი რედაქცია სომხების საზიზღარ მხეცობის მოწმე შეიქნა. ნაშუადღევის ასე პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ვანქის ქუჩით ხიდის მხრიდან ორი თათარი მორბოდა. საიდან გამოვიდნენ, როგორ გაჩნდნენ ეს თათრები, ვერ გავიგეთ. ამბობენ, დამალულები იყვნენ და ეხლა გამოსულიყვნენ საფარიდან. როდესაც დამფრთხალმა, შეშინებულმა თათრებმა იარმუკაზე შეუხვიეს, იქით-აქედან გაჩნდა ოცამდე სომეხი, რომელთაც უწყალოდ და ულმობლოდ დაუშინეს რევოლვერები თათრებს. ისროლეს თითქმის თხუთმეტჯელ. თათრები იქვე მოჰკლეს. მაგრამ ნადირებმა ესეც არ აკმარეს და მოკლულებს ერთი ათჯერ მაინც დაახალეს რევოლვერი და დაუშინეს კეტები. არც ამას დასჯერდნენ და ერთს ფეხით თრევა დაუწყეს. ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ, რომ თათრებს, ამ საწყალ და ლუკმა პურისთვის დატანჯულ მუშებს, არ უსროლიათ და არც ჰქონიათ სასროლი იარაღი. ორივე თათარი სპარსელები იყვნენ. ერთი თათრის გვამი სომხებმა მტკვარში გადააგდეს.

◆ **სისხლის ღვრა ტფილისში.** 28 ნოემბერს თითქმის განუწყვეტელი სროლა იყო: ისროდნენ სალდათები და თათრები. უკანასკნელთაგან ბევრია დაჭრილი. ნაშუადღევს თათრებმა ითხოვეს გაეგზავნათ მათ ნაწილში სანიტარები და მოწყალების დანი დაჭრილებისთვის ჭრილობის შესახვევად. როცა გაემზადნენ წასასვლელად, დაინახეს, რომ თათრები ქუჩაში ბარიკადს აკეთებდნენ. ამგვარად სანიტარები ვერ გავიდნენ თათრების ნაწილში. ამის შემდეგ სროლა ისევ განახლდა. ისროდნენ ისევ წინანდელები: სალდათები და თათრები. დრუჟინიკებში ამ დღეს, რამდენადაც ვიცით, ორი კაცი იქნა დაჭრილი. სროლა შესწყდა საღამოს 5 საათზე. ღამემ, შედარებით, მშვიდად ჩაიარა.

გუშინ, 29 ნოემბერს დილით სიმშვიდე იყო: სროლა არ ისმოდა. საათის 11-ზე თათრებთან გაემგზავრა დეპუტაცია, რომელსაც წინადადება უნდა მიეცა თათრებისთვის გონს მოსულიყვნენ, შეეწყვიტათ სროლა და ხელი შეეწყოთ მშვიდობიანობის ჩამოგდებისთვის.

◆ **რკინის გზა თათრებისა და სომხების ხელში.** ყარსის გზაზე, ნავთლუღიდან დაწყებული სადგურ სანაინამდის, ლიანდაგი თითქმის სულ თათრების ხელშია. გზა და გზა აჩერებენ მატარებლებს, სხნიან ორთქლმავლებს და სომეხ მგზავრებს იარაღს ართმევენ. სანაინიდან ალექსანდროპოლამდის კიდევ სულ სომხების ხელშია და იმასვე სჩადიან, რასაც თათრები. ზოგჯერ ერთნიცა და მეორენიც ხალხს სძარცვავენ. ამამლოს, კარაკლისს და სხვა ადგილებში ას-ასი სომეხია თავით ფეხამდე შეიარაღებული.

◆ **ქუთაისის შესახებ.** ქუთაისში მომხდარ ამბების შესახებ ვერაფერი გავიგეთ. ეს ორი დღეა მიმოსვლა შესწყდა და არაფერი ცნობა აღარ მოდის. ქუთაისის ამბები, რომელსაც ქვემოდ ვბეჭდავთ, ადრეა გამოგზავნილი და მხოლოდ ეხლა მივიღეთ. ქალაქში ზოგნი ამბობენ, რომ ქუთაისს საიმისო არაფერი მომხდარაო, მხოლოდ ყაზახებმა ორჯელ-სამჯელ თოფები დასცალეს, რამაც ხალხი ძალიან ააშფოთა და აიძულა, რომ ბარიკადების გამართვას შესდგომოდაო.

◆ **„პატრიოტების“ და ხულიგანების აღშფოთება.** ბნელი ძალები არ ისვენებენ, ჰგრძნობენ, რომ ნიადაგი ეცლებათ ფეხ ქვეშიდან და შფოთავენ, ბორგავენ, ლობე ყორეებს ედებიან. ამ ბოლო დროს რაღაც ავაზაკურ მოქმედებისთვის ემზადებიან. მთელ ქალაქში ხმა დადის ამ ვაჟბატონების ცუდ განზრახვებზე. ხალხს აღარა სძინავს, დღეც და ღამეც თავის სახლს და კარ-მიდამოს ყარაულობს. ხმა გავარდა, ხულიგანები სახლების გადაწვას აპირებენო და მართლაც გამართლდა ეს ხმა. ორგან-სამგან დაიჭირეს კიდეც ეს ვაჟბატონნი. სხვათა შორის ამ ორი დღის წინად ღამე ელისაბედის ქუჩაზე ხალხმა შეიპყრო ორი ხულიგანი, ტომით რუსი, ნავთიან ყუთებით ხელში, რომელნიც საიდუმლოდ დაძვრებოდნენ. ბნელი ძალები მალულ მოქმედებას არა სჯერდებიან. ამ უკანასკნელ კვირის განმავლობაში მოხდა „პატრიოტთა“ ორი კრება—25 და 27 ნოემბერს. ძალიან აღელვა ეს ვაჟბატონები მუშათა ორგანიზაციის მიერ იარაღის მიღებამ. ამის ბრალსა სდებენ „მოღალატეებს“—პოლიცმეისტერს ცისს, გუბერნატორს და თვით ნამესტნიკსაც-კი. 25 ნოემბერს კრებამ დაიბარა პოლიცმეისტერი და კარგად შეამკო. უყვიროდნენ: „მოღალატე“, „გამცემი“, „სამშობლოს გამყიდველი“ ხარო. 27 ნოემბერსაც „შინაურ მტრებზე“ ჰქონიათ ლაპარაკი. კრებამ დაადგინა მოითხოვოს, რომ იარაღი ჩამოერთვას მუშებს და მათ გადაეცეთ, შემოღებულ იქმნას საომარ დროის წესები და სხვა. ეტყობა „პატრიოტები“ თავიანთ თავს უფრო უშიშრად საომარ დროის წესების დროს ჰგრძნობენ.

◆ **ხაზინის გაქურდვა.** როგორც ქალაქში ხმა დადის, შულავერში გაუძარცვავთ ადგილობრივი ხაზინა. წაუღიათ რამდენიმე ათასი მანეთი.

◆ **განჯაში.** განჯაში სომეხ-თათარნი ჯერ არ შეტაკებულან. ამის გამო „კავ. რაზ. ლისტოკ“-ს განჯის მუშათა ორგანიზაცია ატყობინებს: 1. შერიგება დღემდე არ მომხდარა თათრებსა და სომხებს შორის, რადგან სომხებმა თათრებისაგან კონტრიბუციად ოთხი მილიონი მანეთი მოითხოვეს; 2. მუშათა დეპუტატებს, სოციალდემოკრატებს, სროლა დაუწყეს თათრების მხრივ-კი არა, სომხების მხრივ. არავინ მომკვდარა, მხოლოდ დაიჭრა ერთი ამხანაგი.

◆ **სანოვაგის სიძვირე.** ვაჭრები თავისას არ იშლიან და უზომო მადის დასაკმაყოფილებლად სანოვაგეს ფასებს უმატებენ, რითაც დიდ გაჭირვებაში აგდებენ ხალხს. ფასების მომატება უფრო საგრძნობელია განაპირა ქუჩებში, სადაც ღარიბი ხალხი სცხოვრობს. ძალზე გააძვირეს ვაჭრებმა განსაკუთრებით შაქარი და პური. ვაჭრების ასალაგმავად საჭიროა ორგანიზაციებმა და ადგილობრივმა ბიუროებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას.

◆ **თავ-დაცვის ორგანიზაცია.** აქა-იქ ქალაქში უკვე შესდგა ბიუროები უბნების დასაცველად ხულიგანებისა და სხვა მავნე კაცებისაგან. ასე მოიქცნენ, მაგალითად, კუკიაში თუმანოვის ქუჩის ახლო-მახლო ქუჩებში მცხოვრებნი. სამი-ოთხი დღეა აქ ღამ-ღამეობით უკვე დადიან მცხოვრებთა რაზმები. ეს უბანი იწყება ნემეცების სასაფლაოდან და თავდება ნიკოლოოზის მოედანთან, სადაც სამხედრო სატუსაღოა. უკვე არჩეულ იქნა ბიურო, რომელიც საბოლოოდ მოაწყობს და მოაგვარებს საქმეს. ორგანიზაცია მოქმედებს მუშათა ორგანიზაციასთან ერთად.

◆ **კონსტიტუციონალისტ-დემოკრატთა პარტია.** ამ პარტიის ჯგუფი ტფილისშიაც შესდგა. 27 ნოემბერს ამის გამო კრება იყო ინჟ. კარაკოზოვთან. კრებამ აირჩია ბიურო, რომელშიაც შევიდნენ: თავ. გ. მ. თუმანოვი, ა. ა. ქალანთარი, მ. ს. ლიჩკუსი, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, თავ. სარ. ვახვახიშვილი, პ. მ. დოლუხანოვი, ა. ი. ფლორენსკი, პ. ა. ოპოჩინინი, ქ. ი. მამაცაშვილი, ვ. ა. სოკოლოვი, თავ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი და ლ. ფ. ტიგრანოვი.

◆ **ლანჩხუთი.** პარასკევს, 25 ნოემბერს, ბათომში მიმავალ სახალხო მატარებელში, საჯავახოს სადგურზე სოციალდემოკრატებმა შემთხვევით დაატუსაღეს სამი საეჭვო კაცი, რომელნიც გურიის მუშათა ორგანიზაციის სახელით ფულს აგროვებდნენ მგზავრთა შორის. დატუსაღებულები ჩაიყვანეს დ. ლანჩხუთში, გამართეს კრება ამათ საქციელზე მოსალაპარაკებლად. დამნაშავეებმა თავიანთი დანაშაული აღიარეს და კრების წინაშე ბოდიში მოიხადეს, ჩამოართვეს აგრეთვე შეგროვილი ფული და ლანჩხუთის ორგანიზაციას გადასცეს. ორგანიზაცია სთხოვს შემომწირველთ, ფული უკანვე წაიღონ.

ქუთაისის ამბები

◆ 21 ნოემბერს ქალაქის საბჭომ, ხანგრძლივის კამათის შემდეგ ერთხმად დაადგინა: 1) მოხდეს ქალაქის თვითმმართველობის ახალი არჩევნები საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორისა და ფარულის კენჭის ყრით; 2) არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს ქუთაისის ყველა სრულწლოვანმა მოქალაქემ (არა ნაკლებ 20 წლისა), განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა; 3) ეხლანდელს ქალაქის გამგეობას მიენდოს ახალის არჩევნების ორგანიზაცია ზემოდ აღნიშნულ საფუძველზე; 4) წინადადება მიეცეს ქალაქის გამგეობას, რომ დღეიდან მოუსპოს ჯამაგირების ძლევა პოლიციელებს, ქალაქის ექიმსა და ქალაქის ბებია-ქალს; მოუსპონ სადგომების საქირავებელ ფულის ძლევა ჟანდარმებსა და ჯარებს; 5) ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელსაც ქალაქის თვითმმართველობა ინახავს, ჩამოერთვას პოლიციას და გადავიდეს ქალაქის გამგეობაში; 6) ამ ჟამად უკვე გადამდგარ პოლიციის ნაცვლად დაწესდეს მილიციისებური ეგრედ წოდებული „ქალაქის დაცვა“, რომლის მოვალეობა იქმნება დაიცვას მცხოვრებლების ნივთიერი ინტერესები და პიროვნების ხელუხლებლობა ავაზაკთა და ყოველგვარ ბოროტმოქმედ პირთაგან. ხსენებულ მილიციის შესანახად ქალაქის საბჭომ საჭიროდ სცნო მცხოვრებლებისა და საკრედიტო თუ სხვა საზოგადო დაწესებულებათაგან შეიკრიბოს ფული. საქალაქო მილიციის ორგანიზაცია და ამ მილიციის შესანახად საჭირო ფულის შეკრება საბჭომ მიანდო ხმოსანთაგან არჩეულს კომისიას, რომელსაც შეუძლია საჭიროების დროს მოიწვიოს გარეშე პირნიც გადამწყვეტი ხმის უფლებით. კომისიაში არჩეულ იქმნენ: გ. ფ. ზდანოვიჩი, პ. გ. ჭიჭინაძე, გ. ლ. ქორქაშვილი, ვ. ი. ჭილაძე და ბ. პ. მოსეშვილი.

◆ საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას თითქმის ყოველ დღეს აქვს სხდომები, რომელზედაც უნდა შეიმუშაონ წესი საქალაქო მილიციის ასარჩევად. სხდომებზე კომისია იწვევს სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენელთ. ჯერ-ჯერობით კომისიამ, როგორც ვწერდით, შემდეგი დაადგინა: დროებით ძთელის ქალაქისათვის უნდა არჩეულ იქმნას 60 მცველი, შემდეგ-კი ეს რიცხვი თანდათანობით გადიდდება, (ფიქრობენ, 300-მდის აიყვანონ); თვეში თითო მცველს ექნება ჯამაგირად 25 მანეთი. მცველების არჩევნები უნდა მოხდეს უბნობით საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორისა და ფარულის კენჭის ყრით არჩევნების მოსახდენად მთელი ქალაქი გაყოფილია ათ უბნად. ყოველმა უბანმა უნდა ამოირჩიოს ექვს-ექვსი მცველი. ყოველი უბნის მცხოვრებნი უნდა შეიკრიბნენ არჩევნების მოსახდენად კომისიის მიერ წინდაწინვე დანიშნულს უმახლობელეს ადგილებში. ასეთ ადგილებად დანიშნულია: საფიჩხიის, მწვანე-ყვავილის, სტრუიცკის (ბალახვანის ქუჩაზე), წმინდა გიორგის (არქიელის გზაზე), პეტრე-პავლეს და მთავარ-ანგელოზის ანუ სასაფლაოს (მესხეთის ქუჩაზე) ეკლესიების ეზოები, ებრაელების სამლოცველოს ეზო, ქალაქის ბაღი (ბულვარი), ეკატერინე იაკობის ასულის ნიკოლაძის ეზო, (რიონის პირად, გოსპიტალთან და მესამე ალექსანდრეს ქუჩა (სლაბოდკა). არჩევნები მოხდება კვირას, 27 ნოემბერს, დილის 10 საათზე.

თელავის და თიანეთის მაზრების მემამულეთა კრება

25 ნოემბერს წინამძღოლმა თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა გახსნა კრება და, მოიხსენია რა 29 აგვისტოს მომხდარი ჟლეტა ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში და 22 ოქტომბერს პირველ გიმნაზიის ბავშვებისდახოცვა, აგრეთვე გურულებზე გალაშქრებამდის მათი უწყალოდ ხოცვა-ჟლეტა, კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა უდანაშაულოდ დაღუპილთ დათავისი გულის წყრომა და ზიზღი გამოუცხადა ყველა იმათ, ვინც ამ ბარბაროსულ და მხეცურ საქციელში მონაწილეობა მიიღო.

დაზარალებულ გურულთა, ქართლელ და სხვათა სასარგებლოდ კრებამ გადასდო კახეთის საზოგადოებიდან კუთვნილი 0/0% და ამის გარდა დაადგინა ხელის მოწერით ფული მოაგროვოს განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ.

შემდეგ წინამძღოლმა გააცნო კრებას საზოგადო მდგომარეობა განმათავისუფლებელ მოძრაობისა და მწუხარებით აღნიშნა, რომ, თუმცა დასაწყისში დიდ მონაწილეობას იღებდნენ მემამულენი, რაც გამოიხატა თებერვალსა და მარტში მომხდარ კრებაზედ შემდგარ მოთხოვნილებებში, როდესაც სხვათა შორის, უარი განაცხადეს წოდებრივ პრივილეგიებზედ და მოითხოვეს საქართველოსათვის თვითმმართველობა, მაინც ამ ბოლო დროს მოძრაობის მიმდინარეობას ჩამორჩნენ მემამულენი; ამისი მიზეზი-კი მოძრაობის მიმართულების შეცვლაა. მართალია, განაგრძო წინამძღვარმა, ყველა პარტია ერთსა და იმავე რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვის, მაგრამ რაღაცას ზედ გავლენით გლეხთა მოძრაობა მემამულეთა წინააღმდეგობაში უფრო მკაფიოდ იხატება, ვიდრე არსებულ რეჟიმის წინააღმდეგ, რომ გლეხთა მოძრაობა გამოიხატა ადგილ-ადგილას მარტო მემამულეებზე მისევაში და სხვა არაფერში. მოძრაობის მიმართულების შეცვლას წინამძღოლი არავის აბრალებს თით დადებით, მაგრამ კაცმა თვალი არ უნდა დახუჭოს იმისთანა გარემოებაზე, რომელიც პროვოკაციურ ხასიათისაა და პირდაპირი შედეგია პროვოკაციურ მოქმედებისა. მარშალმა აქავე წაიკითხა თიანეთის მაზრის უფროსის წერილი, რომელიც უსაყვედურებს წინამძღოლს, რომ იმის მეცადინეობით არ იყო გამოწვეული ჯარი თიანეთის მაზრის გლეხთა მოძრაობის ჩასაქრობად და სთხოვს, რომ წინამძღოლმა იშუამდგომლოს ჯარის გასაგზავნად თიანეთის მაზრაში. წინამძღოლმა აცნობა კრებას, რომ მას, როგორც წინამძღოლს, ამისთანა პირობებში სამსახური არ შეუძლიან, არ შეუძლიან ძმათა საჟლეტად ჯარის გამოთხოვა, წინამძღოლობაზედ უარს ამბობს და კრების თავმჯდომარეობასაც ამასთანავე თავს ანებებს.

კრებამ ერთხმად სთხოვა წინამძღოლად დარჩენა, მაგრამ მან მადლობა გადაუხადა კრებას ნდობის გამოცხადებისთვის და დარბაზიდან გავიდა.

კრებამ ახალი თავმჯდომარე აარჩია, გაარჩია თიანეთის მაზრის უფროსის ქცევა, დარწმუნდა მის პროვოკატორობაში და ორად გაიყო: ზოგნი თხოულობდნენ ახლავე წინამძღოლის გადადგომასთან ერთად მოესპოთ ეს წოდებრივი გამოხატულება წინამძღოლობაში და მასთან შეერთებულ საქმიანობაზედ და საზოგადოდ წოდებრივ პრივილეგიებზედ უარი განეცხადებინათ; ზოგნი ამას შეუძლებლად ჰყოფდნენ, რადგან ბიუროკრატიული მექანიზმი ისევ იტრიალებსო და ხმის უმეტესობით დაადგინა: კრება მოითხოვს და თიანეთის მაზრის უფროსის გადაყენებას პროვოკაციისათვის და თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილის წინამძღოლადვე დარჩენას.

კრებამ მოისმინა წინადადება, რომ გლეხთა მოძრაობის მიმართულების გასასწორებლად საუკეთესო სახსარი არის მემამულენი მიემხრონ ერთ-ერთ მომქმედ პარტიას და ხელი შეუწყონ გლეხთა შეგნებას. კრებამ მიიღო წინადადება და მოისურვა გაეცნოს პარტიათა პროგრამებს, რისთვისაც დაინიშნა მიტინგი თელავის კლუბის დარბაზში.

ღია წერილი

ტფილისის სოციალდემოკრატთა, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლიუციონერთა ორგანიზაციების მიმართ:

1) ჩვენ, ტფილისში მცხოვრებ ქართველ მოქალაქეთა ერთი ჯგუფი, მოგმართავთ თქვენ—ზემოხსენებულ ორგანიზაციათა კომიტეტის წევრებს, რათა თქვენ შორის ამორჩეულ კომისიისაგან მკაცრად იქმნას გამოძიებული ნოემბრის 22, 23 და 24 ტფილისში ატეხილი სომეხ-თათართა შორის ხოცვა-ჟლეტის მიზეზები:

2) გამოძიებულ და გამოაშკარავებულ იქმნას „დაშნაკცუტუნის“ ორგანიზაციის ფიზიონომია და მოქმედება;

3) ვთხოულობთ გამოძიებულ იქმნას, თუ ამ სამარცხვინო და ბარბაროსულ ხოცვა-ჟლეტაში მიიღეს მონაწილეობა სხვა რომელიმე გვარტომის პირებმა, გარდა სომხებისა, და თუ ასეთი პირები აღმოჩნდებიან, სასტიკად დასჯილ იქმნან ზემოხსენებულ ხალხის განმათავისუფლებელ და ჭეშმარიტების მიმდევარ ორგანიზაციების მიერ.

ქართველ მოქალაქეთა ერთი ჯგუფი

ფოსტა-ტელ. მოხელეთა მიტინგი

28 ნოემბერს მოხდა ტფ. ფ.-ტ. მოხელეთა მიტინგი, რომელსაც 300-ზედ მეტი კაცი დაესწრო.

პირველად კრებას მოახსენეს სხვადასხვა ქალაქთა გაზეთების აზრი მოხელეთა გაფიცვის შესახებ. გამოირკვა, რომ ამ გაფიცვას ყველანი თანაუგრძნობენ. დამსწრენი აღტაცებით მიეგებნენ საფრანგეთის რესპუბლიკის ფ.-ტ. დაწესებულებათაგან მიღებულს გულითად თანაგრძნობის დეპეშას, აგრეთვე იმ ცნობას, რომ საზღვარ-გარედ დაარსდა ბიურო, რომელიც ფულს აგროვებს გაფიცულთა დასახმარებლად. დიდისავე აღტაცებით მოისმინა კრებამ ამბავი, რომ გაფიცვას მიემხრენ ფინლანდიელი ამხანაგნიც და აგრეთვე დანიის საერთაშორისო ტელეგრაფის მომუშავენი. კრებაზე აღინიშნა ამასთანავე, რომ ფ.-ტ. მოხელეთა გაფიცვას თანაუგრძნობენ სახელმწიფო დაწესებ. მოხელეთა და პედაგოგთა კავშირები, ადგილობრივი პოლიტ. პარტიები, ქალაქის თვითმმართველობა; აგრეთვე საინტენდანტო უწყების და პოლიციის მოხელენიც, რომელთაც უარი სთქვეს მიღებულ ფოსტის გარჩევაზე. ბოლოს კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

1) გამოეცხადოს მადლობა ფრანგ., ფინლანდიელ და დანიელთ ამხანაგთ; 2) იმ უფროსთ და თანამოსამსახურეთ, რომელნიც არა თუ არ შემოუერთდნენ კავშირს, არამედ მტრულადაც-კი ეპყრობიან მოხელეთა ბრძოლას მოქალაქობრივ უფლებისათვის, გამოეცხადოთ ზიზღი და თანაც ბოიკოტი; 3) გამოეცხადოს მადლობა თანაგრძნობისა და დახმარებისათვის სახელმწ. დაწესებ. მოხელეთა და პედაგოგთა კავშირებს, პოლიტიკურ პარტიებს, საინტენდანტოს მოხელეთ, ქალაქის თვითმმართველობისა და პოლიციის იმ მოხელეთ, რომელთაც უარი სთქვეს ფოსტაში მუშაობაზე; 4) გამოეცხადოს ვლადიკავკ. ფ.—ტ. უფროსს ბელიავსკის გაკიცხვა და ზიზღი იმის გამო, რომ მოტყუებით ჰსურდა მოხელეთა გაფიცვის შეჩერება. 5) დაუყონებლივ მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფ ამხანაგს გორისს, რომელსაც ბ-ნმა ლინდენმა უარი უთხრა დახმარებაზე. 6) მიტინგმა გულისწყრომა გამოსთქვა იმის გამო, რომ დურნოვო და სევასტიანოვი ჯიუტობენ და თავის კერძო ინტერესების გამო არ უთმობენ თავდადებით მებრძოლ ფ.—ტ. მოხელეთ, რომელთაც სწადიათ მხოლოდ მოქალაქობრივ უფლებების მოპოვება.

დასასრულ მიტინგმა ფიცი დასდო, რომ მხნედ განაგრძობს ბრძოლას და არ დასთმობს, სანამ თავის საწადელს არ მიაღწევს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

◆ კბილებს ◆

ვიღებ, პლომბას ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—21).

ამ წლის დეკემბრიდან
გამოვა ყოველ დღიური სრულ პროგრამიანი
პატარა გაზეთი
2 კაპ.

პატარა გაზეთი ებრძვის ვინც გმობს ერთობას
პატარა გაზეთი ებრძვის, ვინც სთრგუნავს თავისუფლებას
პატარა გაზეთი ებრძვის, ვინც ღალატობს ძმობას

დაბარება შეიძლება
ერთის წლით 3 მან.
ნახევარის წლით 2 მან.
ცალკე ნომერი 2 კაპ.

რედაქტორი ს. მირიანაშვილი. გამომცემელი გ. მესხი.
ვინც ამ თავით დაიბარებს, დეკემბრის ნომრები მუქთად დაურიგდება.
ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Домъ Дворянства, Редакція „Патара Газети“.

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. განჯის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.